საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს უზენაეს სასამართლოსა

და

საქართველოს სახალხო დამცველს შორის

ქ. თბილისი. 29 ოქტომბერი, 2015 წ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს უზენაესი სასამართლო, წარმოდგენილი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის სახით და **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**, წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის სახით (შემდეგში მხარეებად წოდებული) აღიარებენ ინსტიტუციების ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას:

- საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებისათვის;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- საგანმანთლებლო საქმიანობის ფარგლებში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისათვის;

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები თანამშრომლობენ სასამართლო პროცესების კანონით დადგენილი ღიაობისა და სამართალწარმოების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, რაც მოიცავს სახალხო დამცველის მიერ სასამართლოების მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობას, ხოლო სახალხო დამცველი უზენაეს სასამრთლოს გააცნობს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

მუხლი 2

მხარეები თანხმდებიან, რომ გააძლიერებენ მუშაობას და ითანამშრომლებენ საერთო სასამართლოებში „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენების საკითხში, ერთობლივად შეაფასებენ ამ ინსტიტუტის ეფექტიანობას.

მუხლი 3

მხარეები ჩაატარებენ საგანმანთლებლო ხასიათის ერთობლივ ღონისძიებებს (მ.შ. ტრენინგ-სემინარებს).

მუხლი 4

მხარეებს შორის მოეწყობა პერიოდული შეხვედრები, სადაც განიხილება ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით; ასევე სასამართლოს არსებული პრაქტიკა გამოკვეთილ პრობლემებთან დაკავშირებით.

განხილული იქნება, სასამართლო მეგობრის ინსტიტუტის პრაქტიკა და გამოწვევები.

მუხლი 6

წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა განხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, ოქმების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 7

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

მემორანდუმი იდება ერთი წლის ვადით და გაგრძელდება შემდგომი ერთწლიანი პერიოდებით, თუ რომელიმე მხარე არ შეწყვეტს მის მოქმედებას მისი ერთწლიანი ვადის ამოწურვის თარიღამდე.

მუხლი 8

მემორანდუმის ვადამდე შეწყვეტის შესახებ მხარეები წინასწარ წერილობით შეატყობინებენ ერთმანეთს.

მუხლი 9

მემორანდუმი შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლებიც თითო ორიგინალის სახით გადაეცემათ მხარეებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მის.: ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 0108 ქ. თბილისი, საქართველო ტელ.: +(995 32) 299 01 64 ელ-ფოსტა: info@supremecourt.ge ვებ-გვერდი: www.supremecourt.ge ნინო გვენეტაძე	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის.: ნ. რამიშვილის ქ. №6 0179 ქ. თბილისი, საქართველო ტელ.: (+995 32) 2 23 44 99 ფაქსი: (+995 32) 91 38 41 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge ვებ-გვერდი: www.ombudsman.ge უჩა ნანუაშვილი